ლომისი

ფასი 10,000 მან.

რედაქცია:
ტფილისი, ხელოვანთა სასახლე სერგიევის ქ. № 13. ტელ. 17-51.
სამი თვით 100 ათასი მანეთი.
განცხადების ფასი მორიგებით.

კვირა.
იანვრის 14.
1923.

№ 20. სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველ კვირეული გაზეთი № 20.

სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ოპერა

კვირას, იანვრის 14-ს

ჰუგენოტები

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რუსთაველის თეატრი

ქართული აკადემიური დრამა

კვირას, იანვარის 14-ს

ორი ჯიბგირი

დადგმა; მ. ქორელისა.

სამშაბათს, იანვრის 16-ს

მზის დაბნელება საქართველოში

დადგმა: კ. მარჯანიშვილისა.

# მშობლიურ ნიადაგზე

არასოდეს არ განუცდია ისეთი გამძაფრებული შინაგანი დუღილი და შემოქმედებითი წვა ქართულ ხელოვნებას, როგორც ამ ჟამად.

დღეს, როდესაც დიდმა ომმა და რევოლიუციებმა კიდევ უფრო გამოუვალი გახადეს ის ჩიხი, რომელშიაც მოექცა ევროპის დიდი ხელოვნება, როდესაც თითქო განუჭვრეტელი ნისლი ეფინება ყველა სიმაღლეებს, ძველის გზებიდან და ბილიკებიდან რომ ისე წარმტაცად მოსჩანდა,—საჭირო შეიქნა ყველა ღირებულებათა გადაფასება და ახალის გზებით ახალი მწვერვალების აღმოჩენა.

და თუ დიდი ევროპიული კულტურა განიცდის ასეთი ძიების მწვავე ტკივილებს, რა თქმა უნდა, რომ ქართულ შემოქმედებითი ძალების წინაშეც აღმართულიყო მრავალ დაბრკოლებათა ზღუდეები, რომელიც უნდა უსათუოდ გადავლილ იქნეს.

ქართული კულტურის მრავალი საუკუნეებით დატვირთული ხერხემალი, მისი საარაკო გამძლეობა ათასჯერ მოვარდნილ საბედისწერო ქარიშხლების წინაშე, იმდენად გაკაჟებული და მშობლიურ მთებსავით ქედ-აღმართულია, რომ ჩვენს კულტურისათვის, მწერლობისა დ პოეზიისათვის მებრძოლთ საკმაოთ მტკიცე დასაყრდნობი საფუძველი აქვთ და შეუძლიათ გაბედულათ აყვნენ მწვერვალისაკენ მიმავალ სერებს.

ის ვინც თავის ნიადაგზე არა სდგას, ვის სისხლსა და ხორცში არ ღვივის ჩვენი კულტურის დაუქრობელი ცეცხლი, და მუდამ ჟამს სხვა ნიადაგზე აღმოცენებულ შემოქმედთა ჩრდილში იმყოფება, ისე დაიფერფლება უცხო ჩვენებებით დაბრმავებული, რომ ვერც თავის ნიადავს გაანაყოფიერებს და ვერც მის საოცნებო შორეულს მიწვდება.

ჩვენი საუკუნე მოითხოვს, რომ ჩვენ უნდა ავმაღლდეთ, უნდა ავმაღლდეთ საკუთარის გზებით საკუთარ მწვერვალებზე.

მაგრამ არც კარჩაკეტილი უნდა ვიყოთ ჩვენ. საქართველო ჩიხეთი არ არის, მას უყვარს სტუმრის გულღიათ მიღება. ჩვენ ყოველ კულტურულ მოვლენას ასეთივე ხელგაშლილობით მივიღებთ, ხოლო მას საკუთარ შემოქმედების ცეცხლში გავადნობთ და საკუთარ მეობის დაუკარგავათ მშობლიურ ნიადაგზე დავრჩებით მუდამ.

და დღეს ჩვენში უმთავრესად ამ მიმართულებით სწარმოებს მუშაობა ხელოვნების ყოველ დარგში.

ქართული მწერლობა, ქართული თეატრი, ქართული მხატვრობა—ყოველგან გაცხოველებული მუშაობაა, ყოველგან ანთია ცეცხლი შემოქმედებითი გზნებისა, თითქო აქ სურს ჰპოვოს გამოსავალი ჩვენი ცხოვრების სინამდვილემ.

მართალია, ამ მუშაობაში ხშირად გამოსჭვივის ხოლმე ყალბი პათოსით ნათქვამი სიტყვა, უნიადაგო, წრეს გადასული ბაქიაობა, მაგრამ რამდენადაც ამ მოვლენას გაწყვეტილი აქვს კავშირი ჩვენი კულტურული განვითარების ბუნებრივ მიმდინარეობასთან, იმდენათ ის საშიში არ არის: ერის ძლიერი სული ყველას შესაფერ სადავეს მოუნახავს; ყველას მოარჯულებს და თავის განვითარების წრეში მოაქცევს.—ან არა და სრულიად გარიყავს.

ეს უნდა იცოდეს ყველამ, ვისაც მიზნათ დაუსახავს—ზიდოს სიმძიმე ჩვენი კულტურის და ემსახუროს მის პოტენციალურ ძალების გაშლას.

დღეს ჩვენთვის ყველაზე უკეთესი სამკაულია იმედების იდუმალი შუქით გასხივოსნებული სული, სული, რომელსაც შეუძლია ეზიაროს: შოთას, ნ. ბარათაშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა ჩვენი კულტურის დიდებულ მოღვაწეთა მადლს და გაბედულათ გაშალოს ფრთები ახალ მწვერვალზე ასაფრენათ.

და სწორეთ ამიტომ უნდა მივესალმოთ ჩვენ ხელოვანთა მიერ კულტურის ფრონტზე გაჩაღებულ მუშაობას. უნდა ვიწამოთ, რომ ჩვენი მწერლობა წარსულთან კავშირის გაუწყვეტლად მოგვცემს ახალ მიღწევებს, იტყვის ახალ სიტყვას და არასოდეს არ დაიშრიტება მისი ენერგია გაბედულად წინ გაქანების ჟამს.

ჩვენი თეატრი—ისიც ხომ აღორძინების გზას დაადგა. სულ რამდენიმე ხნის წინეთ მოსთქვამდნენ მის სიკვდილზე, მაგრამ დღეს ყველას სწამს, რომ მას დიდი მომავალი აქვს.

ფასდაუდებელია აგრეთვე ჩვენი კომპოზიტორების ქართული ოპერისათვის თავდადებული მოღვაწეობა.

და ის კოლოსალური მუშაობა, რომელსაც აწარმოებენ ქართული მეცნიერების მესვეურნი, ახალის იმედებით ავსებს სულს და ჩვენ კიდევ უფრო თამამად შეგვიძლია ვთქვათ:

— გზა მწვერვალისკენ!

**დონარ.**

# ფურცელი მოგონებათა რვეულიდან

**დიმიტრი ყიფიანის ტრაღედიისათვის.**

80-ნ წლებში მომიხდა ტფ. სასულიერო სემინარიაში სწავლა. მაშინ სემინარია საპყრობილეს უფრო ჰგავდა, ვიდრე სასწავლებელს. მისი კარები დახშული იყო გარეშე ჰაერისათვის, და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება მაღალ გალავნიან ციხის შიგნით ტრიალებდა. გარეთ გამოსვლა ვეღირსებოდა მხოლოდ კვირაობით ნასადილევს 3—5 საათზე განსაკუთრებული ბარათებით.

და არც გვქონდა დრო სადმე წავსულიყავით, რადგან მუდამ დატვირთული ვიყავით მძიმე მუშაობით, რომელიც წელში გვწყვეტდა. ყოველ დღე 5—5 გაკვეთილი, რომელთა მომზადებისათვის დრო არ გვყოფნიდა. მარტო ბერძნულსა და ლათინურზე მიდიოდა მთელი საღამო; ბიბლიას ხომ კიდევ მეტი დრო უნდოდა, იყო სხვა საგნებიც.

მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის განწყობილება არა კეთილ სასურველი იყო, ორ ბანაკად ვიყავით გაყოფილი. გარდა ჩვეულებრივი ჟანდარმული დევნისა, რაც იმ ხანებში საზოგადო იყო რუსეთის ყველა სასწავლებლებში, ჩვენს სემინარიაში სწარმოებდა კიდევ ნაციონალურ-შოვინისტური დევნა ქართველებისა და ქართველურისა. ინსპექტორი, ვინმე კუვშინსკი, კაცი ფიცხელი და ცოფიანი, დღე და ღამ გაცხარებული დაწანწალებდა და დაეძებდა ქართულათ ნაწერსა და ნაბეჭდ სიტყვებს, რომ მოესპო, გაექრო. მას შველიდენ მეთვალყურენი სენკოვსკი და კალმაკოვი. სად უნდა დაგვემალათ ქართული წიგნი, რომ მათ არ მიეგნოთ.

ერთ კვირა დღეს გურიიდან ახლად ჩამოსულ სემინარიელ ყმაწვილებს ექვთიმე ხელაძემ ქართული პატარა წიგნაკები გვაჩუქა. ჩვენ ეს წიგნები შკაფის უკან დავმალეთ. მეორე დღეს არც ერთი არ დაგვხდა, მოეპარათ, წაეღოთ. გაზეთი „დროების“ ნომერი ღიათ პირველად შემომიგზავნა ამ გაზეთზე მომუშავე არსენ კალანდაძემ, იმიტომ რომ ამ ნომერში იყო კუვშინსკის გადაყვანის ამბავი დაბეჭდილი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ქონდა.

ამ კუვშინსკის დროს გაერიცხათ სემინარიიდან ბევრი ნიჭიერი და ქართულის მოყვარული ყმაწვილები: სტ. ჰრელაშვილი, დათიკო კეზელი, ასიკო ცაგარელი და სხ.

კუვშინსკი წავიდა, მაგრამ ქართველის სიძულვილი მაინც დარჩა სემინარიაში. იყო ერთი მასწავლებელი, გობტინსკი, გვესაყვედურებოდა, რომ ქართულად ფიქრობთო.

აქ ჩვენი ბრალიც იყო. გარუსებისაკენ გვედო გული. აღმოსავლეთის საქართველოდან შემოსული მოწაფეების გვარები თუ თავდებოდა „შვილით“, ყველა გადარუსებული იყო, მაგ. ჩრელაევ, მგალობლოვ, ჩილაევ, ტატუნოვ, ტატიევ და სხ.

შემდეგ, ეგზარხოსი იოანიკის დროს, შემოვიდა სემინარიაში ნელ-ნელა ქართული ენა, მაგრამ ყურადღებით მის შესწავლას არ ცდილობდენ მოწაფენი და სწავლებას მასწავლებლები. რაც უნდა ლონე გეხმარა, ერთ ქართულსაც ვერ წამოვაცდევინებდით ქართული ენის მასწავლებლებს თ. ჟორდანიას და ნ. ტატიშვილს ვერც კლასში სწავლების დროს და ვერც გარეთ. ქართულს რუსულად გვასწავლიდენ, ე. ი. ჩვენ ვკითხულობდით ან ვლაპარაკობდით და ისინი რუსულად გვებაასებოდენ ან ხსნიდენ. და რა გასაკვირველია, როცა ჩვენ არ ვეკიდებოდით ჩვენს საქმეს მოყვარულად, გარეშენი რად შეგვიყვარებდენ?

დევნა იყო საზოგადო ნიადაგზედაც. გარეშე წიგნების კითხვა სასტიკათ იყო აკრძალული. ასეთი დევნის სხვერპლი გახდენ მესამე კლასში გოლა ჩიტაძე, მეხუთეში რომანოზ ფანცხავა და მეექვსეში სილიბისტრო ჯიბლაძე. იყო სხვა მაგალითებიც. გამორიცხულმა სილიბისტრო ჯიბლაძემ სცემა რექტორ ჩუდეცკს. ავათმყოფი, ფეხტკივანი სილიბისტრო მოათავსეს მეტეხში. ეს იყო 1885 წლის მარტში. ის იჯდა ციხეში მანამდის, სანამ მაშინდელმა მთავარმართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა არ მიიღო ნებართვა უმაღლესი მთავრობიდან, გამასწორებელ ბათალიონში გაეგზავნათ ის მოწაფენი, რომელნიც ფიზიკურად შეეხებოდენ თავიანთ უფროსებს. სილიბისტრო გაგზავნეს ორი წლით ბათალიონში ეკატერინოდარში. ორი წლის გათავების შემდეგ კიდევ ორი წელიწადი დაუმატეს. ამის მიზეზი იყო პირველად ის, რომ სილიბისტრო ვერ „გაასწორეს“ და უმთავრესათ მის ბედზე გავლენა იქონია შემდეგი წლის გაზაფხულზე რექტორი ჩუდეცკის მოკვლამ იოსებ ლაღიაშვილის მიერ.

ამ მკვლელობას თავისი ისტორია აქვს, რომელიც ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ ეს მკვლელობა იყო შესრულებული პოლიტიკური მიზნით და არა პიროვნული ნიადაგით, როგორც ეს ზოგს მოსჩვენებიათ.

1885 წლის შემოდგომაზე სემინარიიდან გამორიცხულმა და გამოსულმა ყმაწვილებმა შექმნეს საიდუმლო წრე, რომლის მიზანი იყო მომზადება სოციალისტური იდეების პროპაგანდისტებისა. ამ წრის მეთაურებს კიდევ სემინარიიდან გამოყვათ ანარქისტულ-ნაროდნიკული რწმენა და ტერორის მიმდევრები იყვნენ პრაქტიკულ მოქმედებაში.

აღზრდილნი მესამოცე წლების პროგრესიულ ლიტერატურაზე, დაწაფებით კითხულობდენ მაშინდელ აკრძალულ რუსულ გამოცემებს, რომელსაც უმთავრესად შოულობდენ ზაქარია ჭიჭინაძისაგან. ამ წრეს ქონდა აგრეთვე კავშირი მაშინდელ რუსულ წრესთანაც, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვინმე ერმოლოვი. პირველი პრაქტიკული მუშაობა ამ წრემ დაიწყო მოსწავლე ახალგაზდობაში და დურგლებში. უკანასკნელთა წრეებს ადგენდენ მიხა ჩოდრიშვილი და მუშა-პოეტი **იოსებ დავითაშვილი**. მიხა ჩოდრიშვილის ბინა არსენალის გორაკის ძირში მუდამ ღია იყო ამ წრის კარებებისათვის. ჩვენი არა ლეგალური ბიბლიოთეკა დათიკო გაგლოშვილს ებარა. თვალსაჩინო როლს ამ წრეში გოლა ჩიტაძე თამაშობდა. ის თავდადებული და გატაცებული მუშაკი იყო. მანვე, წრის ხელმძღვანელთა მინდობილობით, სთარგმნა „ოთხი ძმის თავგადასავალი“, რომლის ხელთნაწერი გექტოგრაფზე დაიბეჭდა 600 ცალი. საქმე კარგად მიდიოდა. წრის ხელმძღვანელთა შორის იყო ერთი, რომელსაც მოსვენებას არ აძლევდა მისი მეგობრის—სილიბისტრო ჯიბლაძის—დასჯის მიზეზი: რექტორი ჩუდეცკი ცოცხალი დადიოდა, ის შემთხვევას ეძებდა მისი სიკვდილისათვის, რათაც უნდა დაჯდომოდა.

ამ კითხვის გარჩევის დროს ხამთა თათბირში, ჩიტაძემ კითხვა დააყენა ფართოთ და პრინციპიალურად, რომ ჩვენ ვერ ვიხელმძღვანელებდით პირადი სიმპატიებით ასეთ პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეში. მისი რჩევით ჩვენ შევიმუშავეთ ერთნაირი წესრიგი ტერორისათვის. გადაწყდა მოკვლა პირველ რიგში ეგზარხოსი პავლესი, მზრუნველისა ივანოსკის და რექტორი ჩუდეცკისა და ამისათვის შესაფერი ორგანიზაციის შექმნას შევუდექით, მაგრამ რამდენადაც ფართო გეგმას მოვკიდეთ ხელი, იმდენათ მისი შესრულება ძნელი ხდებოდა. ჩვენ გვინდოდა მსხვერპლი მცირედი გაგვეღო, ხოლო ნაყოფი დიდი მიგვეღო. ერთხელ ისიც კი ვსცადეთ აგვეფეთქებინა სემინარიის ეკლესიის საკურთხეველი მაშინ, როცა შიგ იქნებოდენ ეგზარხოსი და რექტორი, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა, რადგანაც ყუმბარები ცუდი გამოდგა, არ გავარდა. ვუთვალთვალებდით პარადს, დღესასწაულს, სადაც ჩვენგან მიზანში ამოღებული პირები ერთად იქნებოდენ, მაგრამ ესეც არ მოეწყო ჩვენ სურვილზე.

ამასობაში დრო გადიოდა და სხვა და სხვა მოვლენათა გვიტრევდა და გვიტაცებდა. აზრიც გვეცვლებოდა. დაიბადა აზრი, რომ უნივერსიტეტში ან საზღვარ გარეთ წავსულიყავით სწავლის გასაგრძელებლათ, მაგრამ არ გვქონდა სახსარი, მაშინ დავადგინეთ დავფიქრებულიყავით, გვეშოვნა ფული საერთო შრომით და თით-თითო რიგ-რიგად გაგვემგზავრებია სასწავლებელში. ორი ჩვენგანი წავიდა ტფილისს გარეშე ფულის საშოვნელად, ხოლო სხვები, ვინც ტფილისში დარჩნენ, ვაჭრობას მოეკიდნენ გავხსენით ახლანდელ შ. რუსთაველის ქუჩაზე ლუდით სავაჭრო. ერთ წინა ოთახში ვაჭრობა ხდებოდა, ხოლო უკანა დიდ დარბაზში კრებები იმართებოდა უმთავრესათ მოწაფეებისა. ფული ვერაფერი მოვიგეთ, ხოლო სალუდე სავაჭრო პოლიციამ დაგვიკეტა და ამხ. მაღლაკელიძე, რომლის სახელზედაც პატენტი იყო აღებული, ციხეში მოათავსეს.

წრეები მაინც განაგრძობდენ მუშაობას. ტერორი ჯერ კიდევ შეუსრულებელი იყო.

1886 წლის მაისში ჩემთან მოვიდა გოლა ჩიტაძე და მითხრა, რომ მან იპოვნა სანდო პიროვნება, რომელიც ჩვენს განზრახვას შეასრულებს და დაასახელა იოსებ ლაღიაშვილი.

ლაღიაშვილი მე მაგონდებოდა სემინარიის 1 და 2 კლასებში. ის და შიო დედაბრიშვილი სტაროსტებათ იყვნენ ეკლესიაში, სანთლებს ყიდნენ და ფულებს აგროვებდენ, ემსახურებოდენ მწირველთ. უწყინარი, წყნარი და მორჩილი ყმაწვილები იყვნენ. მათგან მომავალში უბრალო სოფლის მღვდლებს გამოველოდით, ვიდრე მას, რაც შემდეგში ისინი შეიქმნენ.

ჩიტაძის წინადადება ჭკუაში არ მომივიდა და არ დავეთანხმე პირველად.—შენ ძველი ლაღიაშვილი არ გეგონოსო, მითხრა გოლამ. ძალიან მაგარი ბიჭი დადგაო და თან გაბრაზებული არისო. ამასთან ისიც ქონდა მხედველობაში, რომ მცირე წლოვანი არის და ვერ დაახრჩობენო. შენ მხოლოდ ხანჯლების ფული მოგვეცი და დანარჩენი მე ვიციო. წაიღო 12 მანეთი ხამი ხანჯლისთვის. მოსაკლავი სამი იყო და ხანჯალიც სამი იყო საჭირო.

ჩიტაძე მხარ-და-მხარ დასდევდა ლაღიაშვილს და ხელმძღვანელობდა. პირველად იოსებ ლაღიაშვილი ესტემარა ეგზარხოს პავლეს წიგნით ხელში და ხანჯლით პალტოს ქვეშ. მაგრამ არ შეუშვეს მასთან. მერე მივიდა სემინარიაში და მოკლა რექტორი. იანოვსკთან წასვლა არ დააცალეს, დაიჭირეს. ორი ხანჯალი მოუხმარებელი დარჩა.

მერე რაც მოხდა, ყველამ ვიცით.

გ. ჩიტაძე უდროოდ დაიღუპა,—ეს ნიჭიერი და დიდი გულის პატრონი კაცი ჭკუაზე შეირყა და მოკვდა მიხეილის საავათმყოფოში.

**მონაწილე.**

# საკუთარი გზით

ჩვენს ისტორიაზე შეიძლება იგივე ითქვას, რაც ბერნემ თქვა თავის დროის გერმანიის ისტორიაზე: იგი აუკინძავ წიგნსა ჰგავს და საძნელოა მისი კითხვა და შესწავლა.

მიუხედავად ამისა ამ აუკინძავი წიგნის საფუძვლიანი შესწავლა, ისტორიული წარსულის შიგნით „თვალის ჩაბრუნება“, ხალხის ცხოვრების საკუთარი ევოლიუციის გაგება იყო, არის და იქნება ქვაკუთხედი ჩვენი აღორძინების და გაძლიერების. ეს აუცილებელი საქმე ჰქმნის რეალურ საფუძველს თანამედროვე განვითარებისას. იგი საძირკველია, რომელზედაც შენდება ერის თანამედროვე კულტურა, მისი მომავალი და დიდება.

ყველა ერი ამ გზით ვითარდება და იღწვის საკაცობრიო სარბიელზე. პატარა ერები, რომელნიც ლონემიხდილნი, მიძინებულნი, მიმკვდარებულნი იყვნენ დიდი ხნის განმავლობაში, გამოცოცხლდენ, მკვდრეთით აღსდგენ ისტორიულ მოგონებით, წარსულში ჩახედვით და იქ აღძრულ ეროვნულ ძალთა თანამედროვე ვითარებაში ჩაბმით.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში არა ერთხელ და ორხელ ამტყდარა კამათი ამ საკითხის გამო. აქ ხშირად იჩენდა ხოლმე თავს ორი უკიდურესობა. ორივე გაუმართლებელი და უარსაყოფი.

ერთი უარსჰყოფდა წარსულს მომავლის სახელით. მეორე უარჰყოფდა მომავალს წარსულის სახელით. წარსული გაურბოდა ახალს. ამ ვითამ შეურიგებელ წინაამდეგობაში ტრიალებდა ხშირად ინტელიგენტური წრეების აზროვნება.

ორგანიული, გამაერთიანებელი ფორმულა შეიმუშავა ილია ჭავჭავაძემ, რომელიც ძალიან ბევრისათვის, სამწუხაროდ, დღესაც მიუწვდომელი და გაუგებარია.

უცხო, ახალი უნდა ვისწავლოთ, უნდა შევითვისოთ. მაგრამ ჭავჭავაძის აზრით „ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირ-

ყველად საკუთარის მწერლობის და ვითარების ცოდნა უნდა დაედვას“.

ოთხმოციან წლებში ქართული მწერლობა აალაპარაკა „გარეთყოფილი“ ნ. გ-ლის წერილებმა მაშინდელს ძველსა და ახალს თაობაზე. სამოციანთა თაობას დაუპირდაპირა ახალი თაობა, რომელსაც ჩამოქვეითება უკიჟინა. ხოლო ჩამოქვეითების მიზეზად ასახელებდა იმას, რომ ახალთაობა აღარ ეწაფება რუსულ მწერლობას, ჩაციებია „ჩვენს ქართულს ღარიბს ლიტერატურას, რომელიც ვერც ჭკუას ასწავლის და ვერც ზნეობით აამაღლებს. რუსულ ლიტერატურას ევროპა თარგმნის, ჩვენ კი „შოთას ლექსებისაგან თავს ბრუ დაგვესხმია.“ — დაახლოვებით ამავე აზრებს იცავდა იმ დროებში გ. მაიაშვილი “ივერიაში“.

ილია ჭავჭავაძემ უფრო ღრმად და დაკვირვებით შეხედა საკითხს. მას ახალთაობის სწორედ ის არ მოსწონს, რომ უცხო მწერლობას დასწაფებია, შინაურ ცხოვრებას და მწერლობას კი ივიწყებს. რაც შეეხება მესამოცე წლების მოღვაწეთ, მათ მარტო უცხო კი არ გადმოუღიათ, პირველყოვლისა საკუთარი ვითარება, საკუთარი ისტორია შეისწავლეს; შეიგნეს ჩვენი დაქვეითების მიზეზი და ამიტომ იმოქმედეს ისე ძლიერად.

ამ აზრით დასტრიალებს თავს ი. ჭავჭავაძე „ჩვენს ღარიბს ახლად ფეხადგმულ ლიტერატურას და ამბობს, რომ ერმა საკუთარი ვითარების შესწავლა გაიხადოს ქვაკუთხედად*)

მხოლოდ ამ ნიადაგზე და ამ ნაირად შეთვისებული უცხო ზრდის და ამდიდრებს ხალხის მწერლობასა და კულტურას. სხვა გვარი, ზერელე გადმოღება უბრალო მაიმუნური წამბაძველობაა, დასაწყისია სულიერი ვინაობის დაშლის და გადაგვარების.

ჩვენში დღეს უცხოეთის მწერლობის ცოდნა, უცხო ლიტერატურულ გავლენის და მიმართულების შემოღება მაინცა და მაინც არ უკავშირდება ჩვენი ლიტერატურის განვითარების ცოდნას. ბევრს სრულიად არ აინტერესებს წარსული, ისტორიაში ჩაუხედავად და საკუთარი ცხოვრების ამოუკითხავად ფიქრობს კულტურის და მწერლობის გაქანებას პროგრესის გზაზე. ეს კი შეუძლებელია. ვერც ერთი დაწინაურებული ლიტერატურა, ვერც ერთი თავის თავად მომხიბლავი ლიტერატურული სკოლა ვერ გააპოხიერებს ჩვენს მწერლობას, თუ იგი ბუნებრივად არ დაემყნო ჩვენი ხალხის სულიერ აგებულებას.

ჩვენი ისტორია, მართალია, ჯერ კიდევ აუკინძავია, მას ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ მის მიმართ ბიბლიური ქამის როლის შესრულებას ყველა უნდა ერიდოს. ხომ გახსოვთ, „განიფრთხო ნოე ღვინისაგან, ცნა რაოდენი უყო მას ძემან მისმან უმრწემესმან და დასწყევლა იგი უკუნითი უკუნისამდე.“

პანი

*) „ივერია“ 1888 წ. 100, 101, 102, 104, 105 და 111.

# ჩემი პორტრეტი

ცხვირი არწივის. ულვაშები სულ გაკრეჭილი.
წელთა სიმრავლით დატვირთული და თმა-ჭაღარა...
არ მწყალობს ბედი: ჭინკამ მაინც ჯერ ვერ გამღალა,
თუმც ფერმკრთალი ვარ, ვით ქლიავი, და გაცრეცილი.

გავურბი ქუჩებს: წიგნებთან ვარ სულ მოკეცილი.
მეგობრებისთვის, შეხვედრის დროს, ღიმი მაქვს ღალად.
არ მიყვარს ღვინო, და თუ შემხვდა, ვსვამ მუდამ ძალად,
და ვიცი სიტყვა ერთი ციდა და მოკვეცილი.

ლექსის წერაში მე არავის არ ვეჯიბრები:
მაგრამ პარნასზე სხვებთან ერთად მეც მსურს ავიდე...
ეჰ, დიდხანს ჰკლავდა ჩემ ხელს ჩოთქი და მჭლე ციფრები!

გადავცდი საზღვარს, მაგრამ ახლა უფრო ავინთე,
გამიორკეცდა სიყვარული სამშობლოს ბედის:
ალბათ უნდა ვთქვა სიკვდილის წინ სიმღერა გედის.

# დე იყოს ბოდვა!

**ჩემს ქალს მაგდლენას**

დე იყოს ბოდვა, მაგრამ იყოს ბოდვა ლამაზი:
პოეზიაში გადავარდნა და გაქანება:
ჩვენ ერთხელ კიდევ გავაფრინოთ ცეცხლის გავაზი!..
დე იყოს ბოდვა, მაგრამ იყოს ბოდვა ლამაზი.
გადაუშალოთ ახალ განცდებას ფიქრთა დარბაზი,
თორემ დაგვამსხვრევს თავ-დაღმართი და დაქანება!..
დე იყოს ბოდვა, მაგრამ იყოს ბოდვა ლამაზი:
პოეზიაში გადავარდნა და გაქანება!

ვ. რუხაძე.

# საქართველოს სამხატვრო აკადემია

საქართველოს სამხატვრო აკადემია იშვა 1922 წლის მაისის 14-ს და მას თავიდანვე დაჰყვა მღრღნელი ჭიები, რომელიც გახარებას არ აძლევდა და სულ მოკლე ხანში სიკვდილს უქადდა.

ამის მიზეზი იყო ის, რომ აკადემიის პროფესორთა საბჭოში შედიოდა ხალხი, რომელთაც საკუთარი ინტერესების გარდა არაფერი გააჩნიათ და აკადემიას უცქერდენ ისე, როგორც „პაიოკს“. მათ სრულებით გვერდზე გადადვეს ის წესდება, რომელიც სახალხო განათლების კომისარიატმა ჩააბარა მათ სახელმძღვანელოთ და შექმნეს რაღაც ახალი, ძმაკაცობაზე აგებული.

აკადემიაში შემოიღეს ისეთი ფაკულტეტები, რომლებიც არც ერთ ევროპის აკადემიას არ ახსოვს, რომლებიც ისე შეუფერებელი იყო აკადემიისთვის, როგორც დალაქობა და ხარაზობა. ეს ყველაფერი მიტომ რომ ყველა თავიანთი ნაცნობები და ძველი მეგობრები გაეპროფესორებიათ და აკადემიის ხარჯზე უზრუნველ ეყოთ. და ეს მადა გახსნილი ხალხი აყენებდა ჯამაგირების ისეთ დიდ მოთხოვნილებას, რომელიც არ არის არც ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში. მაშინ როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ღებულობდა 11 მილიონს თვიურად, აქ პრორექტორი ინიშნავს თავისთვის 19 მილიონს თვიურად და სხვა. ეს იმ დროს, როდესაც აკადემიის სტუდენტებს გატიალებულ ფარეხში უხდებათ მაცადინეობა და არავინ ზრუნავს მის შეკეთებისთვის. გასაოცარი იყო ხუროთმოძღვრების ფაკულტეტი, სადაც თორმეტი მსმენელი იყო და რვა პროფესორი. ამასთანავე საოცარი იყო ზოგიერთი პროფესორები, რომლებიც აკადემიაში ირიცხებოდენ და არაფერს აკეთებდენ. იყო ერთი პროფესორიც, რომელიც მხოლოთ ერონების და მიხედვით ღებულობდა თავის ატელიეში სტუდენტებს. და ასე სამარცხვინოთ და ფუქსავატათ მიდიოდა აკადემიის საქმიანობა ამ უკანასკნელ ხანამდის და იფლანგებოდა ხალხის ქონება უმიზნოთ, ვიდრე თვით აკადემიის სტუდენტობამ არ ამოიღო ხმა ყოველივე ამ ბოროტმოქმედების შესახებ.

სახალხო განათლების კომისარიატმა მიაქცია ყურადღება და დანიშნა რევიზია აკადემიაში. რევიზიამ აღმოაჩინა მრავალი ბოროტმოქმედება. აღმოაჩინა ყველაზე აღმაშფოთებელი ისიც, რომ პროფესორთა საბჭომ შეუქმნა ისეთი დარგები აკადემიას, რომელიც აკადემიის ფუნქციებში არ შედიოდა.

და აი პირველ იანვრიდან სამხატვრო აკადემიის მთელი პროფესორთა შტატები გადაყენებულია და ინიშნება ახალი შტატი პროფესორების, სადაც შედიან გიგო გაბაშვილი (რექტორი) კაცი ფრიად განათლებული და ცნობილი მხატვარი, დიმიტრი შევარდნაძე, (პრორექტორი), პროფესორები: იაკობ ნიკოლაძე, გ. ჩუბინაშვილი, ე. ლანსერე, შარლემანი, აგლაძე, გრინევსკი, კალგინი და ნათიშვილი.

იმ უზარმაზარი შტატების შემცირების გამო, რომელიც აკადემიას აწვა მძიმე ტვირთად, აკადემიას ეძლევა საშუალება მომავალ წელში მაცადინეობა დააყენოს კარგს ნიადაგზე. ამის თავდებია ისიც, რომ აკადემიას სათავეში ჩუდგენ ფრიად განათლებული და ენერგიული პირები. ქართულ მხატვრობას უეჭველათ 1923 წელში მტკიცე საფუძველი ეყრება.

იტე.

# საუბარი ალ. სუმბათაშვილთან

გაზეთ „მსახიობის დღეში“ — რომელიც გამოვიდა ქართული თეატრის დღესასწაულისთვის — დაბეჭდილია საუბარი ალ. სუმბათაშვილთან. მოგვყავს შემოკლებით.

**ქართული თეატრის აწმყო.**

მდიდარი შინაარსით და ლამაზი ბგერით ენა, ბუნებრივი გრაცია და პლასტიურობა, დიდი ტემპერამენტით აღსილი მეტყველება და ყოველთვის მრეკავი ნერვი ქართული ერისა — უქადის ჩვენს, თეატრს დიდ მომავალს.

მე მომეცა შემთხვევა პირადათ დავრწმუნებულიყავი ზემო ნათქვამის სინამდვილეში. რამდენიმე წლის განმავლობაში რა გიგანტური ნაბიჯებით წასულა წინ ჩვენი თეატრი!

არ გაუწყვეტია კავშირი მშობლიურ ცხოვრებასთან, ბუნებასთან, ხალხის სულთან, თეატრმა შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში იდეოლოგიურათ დაახლოვების მხრივ საერთაშორისო მხატვრულ შემოქმედებასთან გააღრმავა და გააფართოვა თავისი ჰორიზონტი.

დიდი ინტერესით და კმაყოფილებით ვადევნებდი თვალ-ყურს „ფუენტე ოვეხუნა“-ს — ამ კლასიურ ტრაგედიას საერთაშორისო რეპერტუარისას — და „მსხვერპლს“ — სავსეს ღრმა შინაარსით ხალხის სიმართლით ქართველი ხალხის ცხოვრების მახლობელ დროიდან.

ალმსრულებელნი უკანასკნელი პიესისა

# ჩვენი ზურაბი

I.

ჩვენი ზურაბი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გამოირჩეოდა ტოლებიდან: მაღალ-მაღალი, გაშლილი შუბლი, მუდამ მოცინარე თვალები, საულვაშეზე ნახშირის შავი ზოლი, სისხლით სავსე სქელი ტუჩები... ძალდაუტანებელი მოძრაობა, მოხდენილი მანერები, ლაპარაკის დროს ნებივრულად თვალების მინაბვა, გრძელთითებიანის ხელებით მოხდენილად ჰაერის სერა... მომხიბლავად სიგარის გაბოლება, სიგარის ნამწვარ თავზე ფერფლის გრძელ ფოჩხილიანი ნეკით კოხტად მოშორება... დინჯი ლაპარაკი, თავადური სიცილი ხე, — ხე, ხეს დაბოლოვებით...

ნამდვილი ჯენტლმენი იყო ჩვენი ზურაბი!

ის ყველას თავდავიწყებით უყვარდა, მდიდარსაც და ღარიბსაც, გლეხსაც და თავადსაც. ეს იმიტომ, რომ ზურაბი შესანიშნავი ამხანაგი იყო: გულახდილი, მხიარული, ენა ძახვილი, გულუხვი, ხელ გაშლილი; მისი ჯიბე ყველას ჯიბე იყო, მისი სუფრა ყველას უმასპინძლდებოდა, მისი გული ყველას ერთნაირად შეჰხაროდა.

ნამდვილი ქართველი იყო ჩვენი ზურაბი.

აზრებითაც ლაღი იყო იგი: მუდამ მრავალფეროვანი, მუდამ ორიგინალური, ყოველთვის ალტაცებული, ყოველთვის ღრმა და დაკვირვებული. მისი ენა სურათოვანი იყო, შუშხუნა შედარებებით აღსავსე, ბრჭყიალა ფერებით შეკაზმული. ნათელი და მოჭრილი, სხარტი და ლურსმური. მის მიერ ნახმარი შედარება დიდხანს უთრთოდა თვალწინ გამგონეს, მისი ნააზრევი აზრთა ოკეანეს აჩქეფებდა.

ჭეშმარიტად შემოქმედი იყო ჩვენი ზურაბი.

და მერე რა ტკბილი ხმის პატრონია იგი, რა ნაზის, რა გრძნობიერის? ყოველი მისი სიტყვა გულის სიღრმიდან ამონაჭერია, გამთბარი, ნასიყვარულევი. მის ყელში ყველა ხმა ხმოვანია, არც ერთი თანხმოვანი, ყურისათვის ნაკლებად სასიამოვნო. ყველა ეს ბანები და ჯარები, ყარები და ჯანები მის ხავერდოვან ყელის ძაფებს „აეიოუ“ათ გადაექცია, შიგაც უზენაესი სიყვარული ჩაელესა და მსმენელთა დასატკბობად აპნევდა გრძნობის ამჩუყად, გულთა მოსანდირებლად, სულთა დასატყვევებლად...

ნამდვილი ხელოვანი იყო ჩვენი ზურაბი!

მას ისე ეხვევიან, ვით სიცხით დათენთილნი ცივ წყაროს. ყველას აამებს ჩვენი ზურაბი, ყველას გულს დაუყუჩებს, აზრს გაუღვიძებს, ორიგინალურს მოასმენს. ყველა ფაკულტეტის სტუდენტთან შეუძლია ზურაბს მეცნიერული კამათის გამართვა; მედიკთან, მათემატიკოსთან, იურისტთან, ფილოლოგთან... ის ყველასთან ორიგინალურია, მცოდნე, ყველა საკვირვებს, ყველას აოცებს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს რაიმე საკითხში ჩაეჭრას, დილეტანტობაში ემხილებინოს, ზერელობა შეემჩნიოს.

ჭეშმარიტად ენციკლოპედისტი იყო ჩვენი ზურაბი.

თითონ მალე იურიდიულ ფაკულტეტს დაასრულებს და შემდეგ ფილოლოგიურ ფაკულტეტზე უნდა შევიდეს, ასე აქვს ჩვენს ზურაბს გადაწყვეტილი. განა მას მეცნიერების ერთი დარგი დააკმაყოფილებს? ის ხომ ჩვეულებრივი სტუდენტი არ არის, რომელიც მოუთმენლად მოელის სახელმწიფო ეგზამენების ჩაბარებას და მყისვე მოკურცხლავს შინისკენ თბილ ადგილზე მოსაკალათებლად. არა, ზურაბს ნიჭი შესწევს და უნდა ისწავლოს, შრომის უნარი აქვს და უნდა იშრომოს. ყოველმხრივ შეიარაღებული უნდა გამოვიდეს ცხოვრებაში, ორივე ფეხებზე ნალებ დაკრული, მაღლად აწეულის თავით მოსიარულე, ამაყი, პირადის რწმენით აღსავსე, ცხოვრების ყოველგვარ მოვლენების გარკვევაში გამობრძმედილი.

ნამდვილი საფუძვლიანი კაცია ჩვენი ზურაბი.

ერთი დაუფასებელი თვისება კიდევ აქვს ზურაბს: ავტორიტეტები მას არ მოსწონს, ყველას ეჭვის თვალით უყურებს, ყველას კბილს უსინჯავს, ყველას ძირს უთხრის. მისი კრიტიკა ყოველთვის საფუძვლიანია, სხვისას არა გავს, შაბლონის გარეშეა. ამიტომ არის, რომ ამხანაგები ბუზებივით ესევიან მას, სრულიად დაჯერებული არიან, რომ ზურაბის კრიტიკული სული ყოველგვარ დადებითს შეარყევს და თუ ზურაბმა სთქვა, ორჯერ ორიც კი ოთხი არ იქნება. ხმანარნარი, ლამაზად მმოძრავი და მოხდენილი ჟესტიკულიაკიის პატრონი ზურაბი მუდამ მაძიებელი სულია და ირგვლივაც ძიების სურვილს ბადებს იგი.

ჭეშმარიტად ძიების საწყაულია ჩვენი ზურაბი!

ამ დროს იგი ხუმარის ნესტრით დადის და ვის არ წაკრავს გამარმალებულ დანას, ვის არ გადააფარებს ირონიის ნისლოვან შუქს? ავტორიტეტების წინაალმდეგ საბრძოლველად ირონიისთანა მკვეთრი იარაღი მეორე არ იცის ზურაბმა, დაუნდობელის იუმორის, ყველ-ს გამწკეპლავის, ყველას გამწითლებელის, ყველასადმი ნდობის შემრყევი! განა სიმართლეს ატარებს ის, ვინც ოხუნჯობის საგანი გახდა? განა ვისაც ერში დასცინიან მას კიდევ გააჩნია არ დასცინი რაიმე? ოღონდაც რომ არა! ასე მსჯელობს ხშირად საზოგადოება და ზურაბმაც კარგად იცის ეს.

ნამდვილი იუმორისტია ჩვენი ზურაბი!

რა არის მისი დადებითი აზრი? ეს არავინ იცის, გარკვეულად ვერავინ გეტყვისთ, მაგრამ ამავე დროს ყველას ჯერა, რომ ზურაბი ყოველგვარი სიკეთის წყაროა, საუნჯეების დაუშრეტელი სათავეა. ყოველგვარ ცუდს უარყოფს, კეთილს ადიდებს, ყველაფერი იცის, მეცნიერების ყოველ დარგში „შინაური კაცია“ და განა შეიძლება ასეთ კაცს დადებითი იდეალი არ ჰქონდეს და რაიმე ისეთს აღიარებდეს, რაც ცუდია და მიუღებელი? ამიტომაა, რომ ყველა მას ენდობა, ყველა მას აღმერთებს და შენატრის... თუმც ერთ კაცსაც ვერ მონახავთ ისეთს, რომელსაც შეეძლოს გითხრასთ, თუ რას წარმოადგენს ზურაბის სული და გული გარკვეულად, რა არის მისი იდეალი, ვის ეტრფის, საით მიისწრაფის?

ჭეშმარიტად სფინქსია ჩვენი ზურაბი!

ეს კი ყველამ აშკარად იცის, რომ მას ჭირივით ეზიზღება მოხელეთ გადაქცევა. „Чиновник ты будешь с виду и подлец душой“ ხშირად ღიღინებს იგი ნეკრასოვის სიტყვებს. არაფერ შემთხვევაში ზურაბი ასეთ არსებად არ გადიქცევა, ის სიბერის მოწურვამდე ახალგაზრდა და მაძიებელი სულის მატარებელი დარჩება, ხალხს შესწირავს თავის სიცოცხლეს, ტვირთმძიმეთა და მაშვრალთ ენაცვალება .. დიახ, ჩვენი ზურაბი პატარა კაცი არ იქნება და არც პატარა საქმეს გააკეთებს ცხოვრებაში. ოო, რომ იცოდეთ რაოდენ იმედთა აღმძვრელი არის იგი? სამშობლო, „განაწამები საქართველო“ ბევრ რაიმეს გამოელის მისგან. ზურაბებისთანებმა უნდა აღუდგინოს მას „დიდების დღენი“-ო, ასე ამბობენ ზურაბის ნიჭის მცოდნენი.

ჭეშმარიტად დიდ იმედებს იძლევა ჩვენი ზურაბი!

II

დღესაც ასეთია იგი: მაგაზე მემარცხენე და რადიკალი კაცი მეორე არ მოიპოვება მთელს ქალაქში, არავინ არ მოსწონს, არავის არ ეთანხმება. განსაკუთრებით უმოწყალოდ აკრიტიკებს ყოველგვარ მთავრობას: არც ერთი მმართველი ზურაბს არ მოსწონს, ვერც ერთმა მთავრობამ მისი გული ვერ მოინადირა. ერთს ეს აკლია, მეორეს — ის. წინა მთავრობა იმიტომ არ ვარგოდა, რომ ამა და ამ მხრივ მოიკოჭლებდა, ეხლანდელიც იმიტომ არ არის მოსაწონი, რომ... ერთის სიტყვით ზურაბი ენაგესლიანად ეხება ყველას და ქვას ქვაზე არ ტოვებს. არც გაემტყუნება, ნამდვილი რევოლიუციონერია. ერთი ყური დაუგდეთ რანაირად აფრქვევს ბაგეთაგან ცეცხლს:

— დეე, იცოდეს მტერმაც და მოყვარემაც, რომ ქართველი ერის ნერვებში საშიში სისხლი სდის, ჩვენ ცეცხლის თაყვანის მცემელთა შთამომავალნი ვართ!.. როცა ჩვენს წინაპრებს მთვარის სინაზე მოეწყინათ, აპრიალებულ ცეცხლს დაუწყეს თაყვანისცემა, ცეცხლს დამწველს და განმანადგურებელს, მხურვალეს და შეუბრალებელს!..

ამ სიტყვების შიფრი ,,ქისაც ჯერ იყო‘‘ შესაფერად უნდა გაეგო, განმარტებებისთვის ზურაბი თავს არ იწუხებდა... და არც ცდებოდა, ამ სიტყვებში ყველანი საშინელ შინაარსს სდებდენ.

სწორეთ ამიტომ არის, რომ ხალხიც დიდის სიმპატიით უყურებს მას: გული შეტკივა ჩვენზე და იმიტომ ლაპარაკობს ასე გაცხარებული.

ვიღაცეებს ერთხელ აზრად მოუვიდათ: ავირჩიოთ ჩვენი ზურაბი დიდ თანამდებობაზე, ჩავაბაროთ ჩვენი მოვლის საქმე და ჩვენს ბედსაც ძაღლი არ დაჰყეფსო; თუ სხვას ამდენ ნაკლს უძებნის, თითონ ის ალბად შესანიშნავად გვიპატრონებსო. მაგრამ ზურაბმა გადაჭრილი უარი განაცხადა — არაფრის გულისათვის არ ისურვა დიდი თანამდებობა: საამისო პირობები არ არის, ირგვლივ ხელის შემშლელები მეყოლება და საქმესაც ვერ წარვმართავო. მე მაშინ მოვკიდებ ხელს ასეთ თანამდებობას, როდესაც შესაფერ პირობებს დავინახავო. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ზურაბი პასუხისაგებ თანამდებობას ყოველთვის გაურბოდა: დღევანდელ გათახსირებულ საზოგადოებაში ადამიანი ჩუმ მუშაობას უნდა ეწეოდეს, მუდლოსავით შეუმჩნევლად უნდა უთხრიდეს ნიადაგს დრომოჭმულ საზოგადოებასო.

ზურაბის აზრი ბევრმა მოიწონა, აგრეთვე მისი თავმდაბლობაც: კარიერისტი არ არის, არ მეტიჩრობს, არ ყოყლოჩონობს და შეუმჩნევლად აკეთებს დიდ საქმესო.

ზურაბი სხვა მხრივაც დიდად მოსაწონი კაცია, მან სავსებით გაამართლა ის იმედები, რომელსაც მაზე ამყარებდენ სტუდენტობის დროს! მუშათა მოძრაობის შესახებ მთელი კვირა შეუძლია ილაპარაკოს, ყველა ქვეყნისა და დროის რევოლიუციები ისე იცის, როგორც ხუთი თითი. კრომველი, მირაბო, რობესპიერი, დანტონი, გარიბალდი, ვაშინგტონი მისთვის დღესაც ცოცხალი არსებებია, ისე გელაპარაკებათ მათ შესახებ, თითქოს თვალწინ ედგეს ისინი; არა ნაკლებ იცის ხელოვნება და მისი სხვა და სხვა დარგი: მისი მსჯელობა ლიტერატურის შესახებ ენციკლოპედიური ლექსიკონის ფურცლებს დაამშვენებდა. მუსიკა იცის, როგორც თეორეტილად, ისე პრაქტიკულად: არა ერთი და ორი წყვილი ცრემლი ჩამოუყრევინებია მსმენელთა თვალთაგან ზურაბის მიერ აკვნესებულ როიალის ხმას. საკუთარი რომანსებიც-კი აქვს შეთხზული. ცეკვის შესახებ ლექციათა მთელი რიგი უნდა წაიკითხოს.

ხელოვნებაზე არა ნაკლებ იცის მან მეცნიერების სხვა და სხვა დარგი. მოცალეობა არა აქვს თორემ თითეულ ამ დარგში ,,სულ ცოტა წამუშავების შემდეგ‘‘ (ეს მისი სიტყვებია) გამოჩენილ ადგილს დაიჭერდა. ძიების სული დღესაც ცხოველმყოფელია მისს არსებაში და ერთი წუთი რა არის არ ისვენებს.

არც ერთი მწერალი ჩვენს ზურაბს არ მოსწონს: მისი აზრით ბარათაშვილი დიდებული იქნებოდა, რომ მისს ლექსს მუსიკალობა ჰქონდეს; შოთას ,,ვეფხვის ტყაოსანი‘‘ მაშინ უფრო უკვდავი იქნებოდა, რომ დრამით დაწყებული ამიავი დრამითვე თავდებოდეს, ამ შემთხვევაში გულს უფრო ღრმა ჰრილობა დააჩნდებოდა და ვეფხვის ტყაოსანიც ერთი ასად ძვირფასი იქნებოდა. დიდებული დრამის პერსონალებს სრულებით არ შეჰფერის ბოლოდროს ერთმანეთის ქორწილებში სიარული. დიახაც რომ შეუფერებლობაა: სად ქაჯეთის ციხის გმირები და სად მაყრიონი! აკაკიც განუზომელი იქნებოდა ზურაბის აზრით, რომ იდეიური სხვა და სხვაობა ჰქონდეს.

რომელი ერთი მოვიგონოთ მისი აზრები! მოკლეთ ვიტყვით, რომ ხელოვნებაში ზურაბი ყველა უკიდურეს და უახლეს თეორიებს იზიარებს, გამოდის რა ევოლიუციის შეურყეველ პრინციპიდან. თუ იყო კლასიციზმი და ამას მოჰყვა სანტიმენტალიზმი, რისთვის არ შეიძლება მივიღოთ ფუტურიზმი, სიმბოლიზმი და სხვა ასეთები. სწორეთ ამ სიტყვებით ასაბუთებს ზურაბი თავის აზრებს.

ჩვენს ზურაბს ხშირად უთქვამს გულითად მეგობრებისათვის, რომ მის სულის ხვეულებში უკვე მზად არის დიდი ნაწარმოების გეგმა, რომელიც ჩვენს რეალისტურ — ნატურალისტურ წუმპეში ყველას დაანახვებს კლასიკური სილამაზის სიდიადეს, მაგრამ... მაგრამ, ოჰ, ეს „წყეული პირობები“, „მისგან დამოუკიდებელი მიზეზები!“ — მაგრამ ამ პირობებსაც მალე გადალახავს ზურაბი და მთელი ქვეყანაც საკუთარის თვალით დაინახავს მისი სულის კლასიკურ ოხვრას. დიახ, ჩვენი ზურაბი დიდი ხანია ემზადება ამ დიდი საქმისთვის და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მალე სისრულეში მოიყვანს.

ამასთანავე, კინაღამ დამავიწყდა მეთქვა, რომ ჩვენი ზურაბი პირდაპირ დამამშვენებელია ხოლმე იმ წრის, რომელშიაც იგი თავს ამოყოფს. დამამშვენებელია ყოველ მხრივად — გონებრივად და ფიზიკურად. მისი ახოვნება და მიმზიდველი გარეგნობა, მის მიერ ძვირფასი სიგარის გაბოლება და ფერფლის ნეკის მოძრაობით მოშორება დღესაც მომხიბვლელი და მომჯადოებელია. დღესაც „წყალივით ლაპარაკობს“, არასოდეს სიტყვას არ ეძებს, ასე გეგონებათ, რომ წინდაწინ გაზეპირებულ აზრს ალაგებსო, მომხიბლავ სამოსელში გახვეულ აზრებს, კოპწიად მორთულებს, წრფელის გრძნობით გამთბარებს.

მოლხენაც შესანიშნავი იცის ჩვენმა ზურაბმა, ჭეშმარიტად სუფრის დამამშვენებელია იგი! ენა მახვილობა, ღვინის სმა, ორიგინალური და ლამაზი სიტყვები, ცეკვა-თამაში, სიმღერა!.. ზურაბზე უდიდესი და ულამაზესი მოქეიფე, რომელსაც ყველაფერი შვენის და რომელიც თავადურის დიდებულობით გადაშლის ხოლმე თავის არსებას, ძნელად მოიპოვება ჩემს ნაცნობებში.

— ჩემი იდეალია ყველაფერი კლასიკურიო, — იტყოდა ზურაბი და მყისვე მოიგონებდა ძველ საბერძნეთიდან შესაფერ მომენტებს. ათიათასჯერ იხსენებოდა დიონისე, ბახუსი, აპოლო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ არა პროფესიონალები, არამედ შრომის შვილნი, მუშები, რომელთაც ამ შემთხვევისთვის დაუნებებიათ თავი სამუშაოსთვის და გატაცებით ასრულებდნენ დაკისრებულ როლებს. და თუ „ფუენტე ოვეხუნა“-ში გამიტაცა ზემოხსენებულმა იდეოლოგიურმა დაახლოვებამ სცენიურ ინტერპრეტაციის თეატრის საერთაშორისო მიღწევებთან, „მსხვერპლის“ წარმოდგენამ განცვიფრებაში მომიყვანა მსახიობთა მიერ ქართველ მშრომელთა სულის გაგებით.

ეროვნულ ოპერაში „აბესალომ და ეთერ“-ში გამოიხახა პოეტური მგრძნობიერება და დაუშრეტელი ფანტაზია.

### ქართული თეატრის პერსპექტივები

ამ მოკლე მიმოხილვიდან შეგიძლიათ გამოიყვანოთ დასკვნა, თუ როგორ ვუყურებ მე საქართველოს თეატრის აწმყოს და როგორი ფართო პერსპექტივები იხსნება მის წინაშე.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ განსაკუთრებული ბუნებრივი თვისებები ქართველებისა, ის ასულდგმულებული სილამაზე, რომელიც გამოიხატება ხმასა, ჟესტებსა, მიმიკასა, მოძრაობასა, ფიგურასა და სახეში, მთელი ჩვენი ქალებისა და ვაჟების არსებაში, ის მშვენიერება მეტყველებისა, ის დიადი გრძნობა ზომიერებისა, ურომლისოდაც არ შეიძლება ნამდვილი სცენიური მიღწევა—ყველაფერი ეს იძლევა საბუთს დანამდვილებით ვიწინასწარმეტყველო, რომ ქართული სცენა ძალიან ჩქარა მიიპყრობს მთელი ქვეყნის ყურადღებას და ფართოდ გაშლის თავის სამოქმედო ასპარეზს.

მართალია, მომავალში დიდი შრომაა საჭირო როგორც ცალკე პიროვნებათა, ისე მასისა, რომ ქართული სცენის საქმე მიყვანილ იქმნას ამ დამსახურებასა და გამარჯვებამდე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ის, რაც გაკეთებულია, იძლევა ფაქტიურ საფუძველს ამ პროგნოზისთვის.

### ქართული დრამატურგია

რამდენადაც შემეძლო გავცნობილიყავი ქართული თეატრის სცენიურ ნაწილს, მის ეგრედ წოდებულ აღმასრულებელ ძალებს, იმდენად არ ვთვლი ჩემს თავს გაცნობილად ქართული დრამატურგიის უკანასკნელ წლების მისწრაფებასა და მიღწევასთან.

ეს საკითხი ვერ ამოიწურება ჩვეულებრივ საუბარში. იმედი მაქვს, უახლოეს დროში შევისწავლო საქართველოს თვალსაჩინო დრამატურგები. მხოლოდ მაშინ შემეძლება გაგიზიაროთ ჩემი წმინდა სუბიექტიური აზრი ამ საკითხის შესახებ.

მე კრიტიკოსი არა ვარ და არ შემიძლია უარვყო ჩემი ხაზი როგორც დრამატურგისა.

როგორც ლიტერატურის სხვა დარგში,—ენა არის გარეგნული ფორმა დრამატიული ნაწარმოებისა. რასაკვირველია, ამ ფორმას აქვს კლასიკური მნიშვნელობა. მაგრამ ესხილიდან დაწყებული ჩვენ დრომდე საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს იმ ნაწარმოებებს, რა ენაზედაც არ უნდა იყოს იგი დაწერილი, რომლებშიაც დრამატურგის გენიის მეოხებით გაშუქებულია მთელი სულიერი კოლიზია ადამიანისა, ამ დიდათ მრავალფეროვანი, მაგრამ მარად მთლიანი არსებისა.

რამდენადაც ვიცნობ ქართულ დრამატურგიის შემოქმედებას, ვფიქრობ, რომ ის მიდის იმავე უცვლელი გზით,—ადამიანის სულის მარადიული და უსაზღვრო ლტოლვილების და მისი ტანჯვითა და ბრძოლით სავსე ტრაგიული მდგომარეობის გაშუქებისკენ.

ქართული დრამატურგი ამ დიდათ ძნელ საქმეში ძლიერად არის შეიარაღებული: საქართველოს ისტორიამ, მისი ხალხის სულმა და, ბოლოს, ბუნებამ მისცა დრამატურგის სულს ის დიადი შემოქმედების ცეცხლი, ძალა, რომლითაც მან აანთო მშობლიური სცენა.

ყოველ შემთხვევაში კავშირი მსახიობრეჟისორთა დრამატურგთან მე ვიგრძენი იმ წარმოდგენებშიაც-კი, რომელნიც მე ვნახე. ეს კავშირია მთავარე საფუძველი ყოველი თეატრის ზრდისა.

მე დარწმუნებული ვარ, გ. ტ. რობაქიძის და შ. ნ. დადიანის დახმარებით მივიღო მოკლე დროში შესაძლებლობა, უფრო კონკრეტიულად გიპასუხოდ ამ კითხვაზე.

### რომანი ქართული ცხოვრებიდან.

დანარჩენ კითხვებზე მოკლედ ვიტყვი, რადგან მათ ისეთი პრინციპიალური ინტერესი არა აქვთ, როგორც პირველ საკითხებს, გარდა ამისა, თქვენც ხედავთ, რომ ვერავარ კარგათ, დაღლილი ვარ და ამავე დროს დატვირთვული საქმეებით.

ქართული ცხოვრებადან პიესების წერას მე არ ვაპირებ.

ჩემი დიდი ხნის ოცნებაა, დავსწერო არა პიესა, არამედ რომანი წარსული საუკუნის მესამოცე წლების ცხოვრებიდან. საქართველოს არ იცნობენ სრულიად, საჭიროა მას იცნობდნენ.

მისაყვედურებენ, თითქოს ვუღალატე საქართველოს. სრულიად გულგრილად ვუყურებ ასეთს საყვედურებს.

მე ვიყავი და დავრჩი ერთგული ჩემს სიყვარულში—ჩვენი ქვეყნისადმი და ჩემი მიზნისადმი—შეძლებისა დაგვარად გამეცნო მთლიანი სახე ჩვენი ხალხისა იმათთვის, ვისაც აქვს მასზე მრუდე წარმოდგენა. მეტის გაკეთება მე არ შემეძლო იმ პირობებში. ამის შესახებ აქ ახლა არ ვილაპარაკებ—არ არის საინტერესო. ვფიქრობ. ასეთი მუშაობა მშობლიური ქვეყნისთვის არა ნაკლებ საჭიროა, ვიდრე მუშაობა აქ, სადაც ვერ შევძლებდი გამეკეთებინა მეათედი იმისა, რაც ამდენხანს გავაკეთე. ჩემი მუშაობა მინდა ამ რომანით დავამთავრო. ის ჩემის გეგმით უნდა შეიცავდეს ფართო წრეს იმ მოვლენათა და პირთა, რომელნიც დაკავშირებულნი არიან საქართველოს ხალხურ ცხოვრებასთან, ეროვნული დამკვიდრების ეპოქის პირველ ნაბიჯებთან. რომანი შეიძლება ფართოდ გავრცელდეს, თუ მკითხველებში მან ინტერესი გამოიწვია.

ეხლა ვამთავრებ რამდენსამე დაწყებულ სამუშაოს. ვისარგებლე რა იმითი, რომ ჩემი ჯანმრთელობა მოითხოვს, ექიმობას, ავიღე შვებულება.

### კვლავ დაბრუნება საქართველოში.

ვფიქრობ, 8 იანვრისთვის წავიდე ტფილისიდან. ორ-სამ საღამოს გავმართავ ქუთაისსა და ბათუმში. იანვრის შუა რიცხვებში გავემგზავრები საზღვარგარეთ.

მარტში თავდება ჩემი შვებულება, რის შემდეგაც დავბრუნდები ისევ მოსკოვში, ზაფხული, ვფიქრობ, გავატარო აქ. მაშინ დავიწყებ ზემონახსენებ რომანს.

## მდინარის პირზე ღამე გათეხილი

მდინარის პირზე ვზივარ და უმზერ —
ეშვება წყალზე ღამე პირშავი.
ჩნდება ცეცხლები ცის აბრეშუმზე
ბრილიანტების მოაჯირსავით.

ვზივარ კიდეზე. გაწვდილი პეშვით
ვკრეფ სველ გვირილებს წყლის ზედაპირზე,
და ძილ-დაკარგულ შუაღამეში
დავალ მდინარის კლდიან ნაპირზე.

შრიალებს წყალი რბილი სისველით.
სიპზე ღამურას სდარაჯობს სვავი,
და ვით ნანგრევი, როგორც სიძველე,
ვდგევარ საფლავის მაღალ ქვასავით.

მე ვდარდობ: წყალში ყველა დამხრჩვალი
რამდენ ღამეებს დარდით დაღლიდა..
სევდის ტრაურში ეხვევა თვალი
წყლიდან, სივრციდან და სიმაღლიდან.

მთვარე შუბივით თვალს დამიმიზნებს.
წავალ. მე ეხლა გავყვები მორევს
და ჩემს ფიქრებთან დაღუპულ მიზნებს
შემდეგ სხვა ვინმე გაიმეორებს.

## გეჭში ჩახედვა ქვეყანაზე

ცაში ქორის გმინვაა გზებზე მიწის ძვრებია.
საუკუნე შეშლილი სისხლით კიდეც მეჭიდა.
საცოდავი ქვეყნები ორმოებში ძვრებიან
და შავი მომავალი იმუქრება ბეჭიდან.

იყო ბედი მაღალი და იმედი უცები.
ეხლა ისევ გათარსდა. ისევ გააბეზარდა.
ქარს მიაქ დაღუპული მიზნების ნაკუწები...
გული სასიყვარულოდ ნეტა არ გამეზარდა.

ტანში სისხლი დაიძრა. გარეთ ცეცხლი გამეფდა,
მოდის შავ ბალდახინით, კუბო საახოსი...
ვფიქრობდი ერთხელ მაინც წყლულებს დამიამებდა,
მაგრამ ისევ ჯვარია და უძირო ქაოსი.

დეე მთლად შეიშალოს... გახდეს დასაბამი და
დაეშვას უფსკრულებში. მოკვდეს. გარდაიცვალოს.
და სიცოცხლე დაიწყოს ახალ დასაბამიდან,
რომ სულმა დაისვენოს. მორჩეს, აღარ იწვალოს.

ი. მოხაშვილი.

## ქართველ მხატვრებს

ტფილისში განაახლა თავის მოქმედება ქართველ მხატვართა საზოგადოებამ, რომელმაც შეიმუშავა ახალი წესდება და მიზნათ ისახავს: ქართველ მხატვართა, მოქანდაკეთა და ხუროთმოძღვართა დაახლოვება-შეკავშირებას, საქართველოში პლასტიური ხელოვნების სხვა და სხვა დარგის გავრცელებას და როგორც ძველი, აგრეთვე თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა შეგროვებას, დაცვას და შესწავლას. უნდა დაარსდეს პლასტიური ხელოვნების სკოლები, გაიმართოს სამხატვრო გამოფენები, დაინიშნოს პრემიები საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებთათვის და ქართულ ხელოვნების საუკეთესო გამოკვლევათათვის. გამოიცეს სამხატვრო ჟურნალი, მოეწყოს სამხატვრო ექსპედიციები ძველი ქართული ხელოვნების და ზნე-ჩვეულების შესასწავლად, ხელი შეუწყოს ხალხში გემოვნების განვითარებას; გამართოს კურსები, ლექციები და საჭირო საუბარი, ზრუნავდეს ხელოვნებისათვის და სხვა.

ქართველი მხატვართა საზოგადოების გამგებობაში არჩეულნი არიან: თავმჯდომარე—მოსე თოიძე, თავმჯდომარის ამხანაგათ—ალექსანდრე მრევლიშვილი, მდივნათ ირაკლი ტოფაძე, მოლარეთ გიორგი რუსიაშვილი და გამგეობის წევრად ელენე ახვლედიანი.

---

ვინ გინდათ კიდევ! თანაც უთვალავჯერ იქნებოდა პატეტიურად მოგონებული ილიადის ღმერთთა მეჯლისი: როდესაც ძევესი, ეს ჩვენი დროის ტოლუმბაში (მაპატიეთ, ო, ღმერთო, ეს შედარება! ასე იტყოდა ხოლმე) მედიდურად ზის ულუმბის მწვერვალზე, გვერდით უსხედან სხვა ღმერთები, წინ კი უზის ოქროს თმიანი ჰერა და მერიქიფეობს ხელოვანი ეფესტი...

III

ფრიად ორგინალურია ჩვენი ზურაბი ქალთა საკითხებშიაც: ძვირად მოეწონება მას ვინმე. ის მუდამ ვენერას და აფროდიტას ეოცნებებოდა და რა გასაკვირია, რომ ჩვეულებრივი მომაკვდავი მას არ მოსწონდეს. სახის მოხაზულობა, თვალწარბი, ტუჩები, ყელი, კორპუსი, კეთილშობილური მანერები, სიმღერა—ყველაფერი შესანიშნავი უნდა ჰქონოდა ქალს თითონ, ანუ ჩვენი ზურაბის სიტყვები რომ ვიხმაროთ—„კლასიკური სილამაზის განხორციელება უნდა ყოფილიყო“.

მაგრამ შემცდარნი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ზურაბი მარტო ხორციელ სილამაზეს აქცევს ყურადღებას და მხოლოდ გარეგნობას სცემს თაყვანს! ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ჩვენი ზურაბიც არ იქნებოდა: არსება მთლიანი, სრული, ყოველ მხრივი. ადამიანის სულიერ სილამაზის შესახებ მას სრულიად მოუმზადებლად შეეძლო უგრძელესი ლექცია წარმოეთქვა და თვით ხორცის მოთაყვანე წარმართსაც კი დაარწმუნებდა, რომ ადამიანში პირველი საქმე სულია, ხოლო ხორცი წარმავალი ლეშია.

მაგრამ ჩვენი ზურაბი თუ მაინც ხორციელ სილამაზეს აყენებდა წინ, ეს უმიზეზოდ არ ხდებოდა, ზურაბს საამისო მიზეზი ჰქონდა.

— მე მრწამს, რომ მშვენიერ ხორცში მშვენიერი სული იმალებაო,—იტყოდა იგი პატეტიურად და თან დასძენდა, რომ იგი, ზურაბი, იმდენს ეძიებს, რომ აუცილებლივ აღმოაჩენს ამ მშვენიერ სულს და ღირსეულადაც შეამკობს მას.

დიდი ძიებისა და ლოდინის შემდეგ ზურაბმა მართლაც ნახა ასეთი არსება: შესანიშნავი სილამაზის, თავადური მანერების, მომხიბლავის ნიჭისა და ასეთივე სიტყვა—პასუხის პატრონი, ნამდვილი ანტიური ქმნილება იყო! ერთად ერთი ნაკლი, რომელიც ამ არსებას გააჩნდა, ეს იყო მისი სილარიბე. მაგრამ ჩვენი ზურაბი ამას ხომ არ მიაქცევდა ყურადღებას, ეს მისი პიროვნების დამცირება იქნებოდა. „საზიზღარი ლითონი“ მას ყოველთვის ადამიანის ღირსების დამამცირებლად მიაჩნდა და ასეთი ანგარიშიანი გარემოება როგორ დააბრკოლებდა იმ არსებისადმი მისს სიყვარულს.. და ჩვენი ზურაბიც მთელის თავის გატაცებათა და გულწრფელობით დაემონა ციური სილამაზის გასახიერებას: დღე და ღამე მასზე ლოცულობდა და მოწიწებით უკრავდა გუნდრუკს. მთელი წლები ატარებდა მისი შეუბღალავი გული ამ სიყვარულს, ატარებდა ვით უძვირფასეს განძს, მთელი სიცოცხლის შესადარ ფასს.

მაგრამ სრულიად მოულოდნელად ჩვენი ზურაბის გულის სიმები რაღაც სხვანაირად დაეწყენ და ჰანგებიც უჩვეულო და სხვაგვარი გამოიღეს: ზურაბმა სალოცავი ხატი გამოიცვალა.

რა მოხდა ზურაბის არსებაში, რა ცვლილებამ გაიარა მის სულის ხვეულებში? ეს არა თუ სხვამ, თითონაც კი არა უწყის.

— ჩემში ხორცს ისხამს ბუნების მრავალფეროვნება, ყოველი ადამიანის სული თვით ბუნებისავით ლაბირინტს წარმოადგენს.. ვინ იცის, ვინ გამოიცნობს—როდის რანაირი ცვლილება მოხდება ბუნებაში, ასეა ადამიანის სულშიცო,—სთქვა ზურაბმა და მით მის არსებაში მომხდარი ცვლილება სრულიად კანონიერად ალვიარა.

— ადამიანის სულს თავის განვითარების ხანაში აქვს რამდენიმე ფაზა,—იტყოდა ხოლმე ნახევრად ირონიულად ზურაბი,—თითოული ფაზა საკუთარი სახისა და ნიშანდობლიობის მატარებელია. ამიტომ თითეულ ამ საფეხურს განსაკუთრებული იდეალები შეეფერება, ყოველი ფაზა ცალცალკე იდეალებს ეთაყვანება, მაშასადამე სიყვარილის საგნის შეცვლაც სრულიად ბუნებრივი მოვლენააო.

ასე ასაბუთებდა ზურაბი „მეორე სატრფოს წინაშე გუნდრუკის კმევას“—ეს მისი სიტყვებია,—და ვერც ვერავის დაერღვია მისი მოსაზრებანი.

ახალი სატრფო გარეგნულად არაფრით არ გავდა ძველს: არც ლამაზი იყო, არც კეთილშობლურ მანერების პატრონი, არც მომღერალი, არც ენა წყლიანი. ის იყო ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, პროზაზე უპროზესი. ამაში ზურაბიც დაგვეთანხმებათ. მაგრამ სამაგიეროთ თუ მას დავუჯერებთ—და რომ არ დაუჯეროთ ულამაზობა იქნებოდა ჩვენის მხრივ—სული მისი ახალი სატრფოსი—ურთულესი ლაბირინტია, უმშვენიერესი, უსპეტაკესი. ოო, მერე ქალი არ შეუქმნია ბუნებას ასეთი მრავალ მხრავისა და წარმტაცის სულიერის თვისებების. რაოდენი სათნოება, რაოდენი დიდი და ღრმა აზრი, რაოდენი კეთილ-შობლური გრძნობა ბუდობს მის არსებაში! თუ მოცალება გექნებათ და ყურს დაუგდებთ ზურაბს, მთელი საათების განმავლობაში გელაპარაკებათ ამ საინტერესო ადამიანის შესახებ, მართალია ყველა იმ თვისებათა მნახველი, რომელიც მისახულ სატრფოში ყოფილა, მარტო თითონ ზურაბია, მაგრამ... რავუყოთ, ეგ არაფერია: განა არ შეიძლება, რომ ჭეშმარიტება ჯერ ერთმა იცოდეს და მისგან გაიგონ სხვებმა?!

— სულმა სული იცნო, სული რთული და უთვალავ წახნაგოვანი,—იტყოდა ხშირად ზურაბი,—თვით ჩემი სულიც კი აქნობამდის ჩემთვის შეუცნობელი იყო და რომ იგი არა, დარწმუნებული იყავით ჩემი „მეობის“ ამოცანა ამოცანათვე ჩავიდოდა სამარის სიბნელეში. ვერ დამიფასებია, თუ რა სამსახური გამიწია მან საკუთარი თავის შეცნობაში. ოო, რომ იცოდეთ თუ რაოდენი მიძინებული ნაკვთი აუმოძრავა ჩემს სულსა და გულს მისმა მრავალ-ფეროვანმა ბუნებამ, რამდენი დავიწყებული სიმი ააჟღერა ჩემს არსებაში! კურთხეულ, იყოს ის მომენტი, როდესაც ჩვენი სულები შეხვდნენ ერთმანეთს სამყაროს სივრცეში მეტეორისებური ხეტიალის დროს!..

ეს ტრფობა ჩვენმა ზურაბმა სამუდამო კავშირით დაასრულა: ახალი სატრფო ცოლად შეირთო და აფორიაქებულ სულსაც ნავთსაყუდარი მოუნახა,—ასე იტყოდა ხოლმე თითონ იგი.

— არ უარვყოფ, შეიძლება ჩემმა სულმა ერთხელ კიდევ აუშვას იალქნები და კვლავ გასცუროს ზღვაში ახალი ნავთსადგურის საძიებლად, მყუდრო ცხოვრება მას არ ეხერხებაო,—ამბობდა ჩვენი ზურაბი.

ბედნიერი ოჯახური ცხოვრება აქვს ჩვენს ზურაბს. მართალია პირველი სატრფო შეუფერებელი შეიქნა მისი სულის განვითარების მეორე პერიოდისათვის, მაგრამ. . რავუყოთ მადლობა პირველ სატრფოს, რომელმაც „თავის დროზე“ დაუფასებელი სამსახური გაუწია ზურაბს სულიერი ევოლიუციის გზაზე.

ზურაბის მეორე სატრფო—უკვე მის მეუღლედ გადაქცეული—სულიერი სირთულისა და სისრულის გარდა ერთი რამით კიდევ განირჩეოდა პირველ სატრფოსაგან: გვარიან მოზრდილი მზითევებით დატვირთული მიადგა ზურაბს კარზე. ამ უმნიშვნელო გარემოებამ დიდათ შეუწყო ხელი ზურაბის დაცილიერებული ჯიბის მოღონიერებას.

IV

ჩვენი ზურაბი ჭეშმარიტად დამოუკიდებული პიროვნებაა: აგერ ორმოც წელიწადს გაადაშორა და ამ ხნის განმავლობაში ერთი შემთხვევაც კი არ ქონებია ისეთი, რომ ვინმეს წინაშე ქედი მოეხარა. მან იცის მხოლოდ თავისი თავი, თავისი აზრები, თავისი გრძნობები. მხოლოდ მათ ემორჩილება და მათი ხმა ესმის მას, დანარჩენი ქვეყანა კი მისთვის არ არსებობს. არავისთან სათხოვრად არ მივა, არავის წინაშე თავს არ დაიმდაბლებს: ამაყად დადის და შეუბღალავად დაატარებს თავის პიროვნებას.

ყველა მისი მადლიერია, არავინ მის შესახებ ცუდს არ იტყვის. აზრი, გრძნობა, ხასიათი, გარეგნობა... რა არა აქვს მოსაწონი! თითონ მას თუმცა არავინ მოსწონს და ყველას კრიტიკულად უყურებს, მაგრამ სამაგიერო მას არავისაგან მიუღია. ეგება ეს იმისი ბრალიც იყოს, რომ თავისი აზრების წარმოთქმა წარამარა არ იცის. ზურაბმა შესანიშნავად უწყის, თუ სად რა უნდა სთქვას, უადგილოდ ის არც არას იტყვის და არც არას მოიმოქმედებს. ძალიანაც რომ სძაგდეს რომელიმე უფროსი და რომ ყოველი უფროსი სძაგს, ამაში ეჭვს ვინ შეიტანს—ყოველთვის ისე მოეპყრობა, ვითომც აქ არაფერია: მივა მასთან, თუ რამე საქმე აქვს გააკეთებს და ისევ უკან გამობრუნდება. თუ ვინმემ შენიშნა: კაცო, იმ არამზადასთან როგორ მიდი და კავშირი დაიჭირეო, მაშინვე ასე უპასუხებს: მე უსაქმოდ არავისთან არ მივდივარ, არც პირადი საქმეების მოკვარახჭინებაზე ვკარგავ დროს. მე უფროსთან საქვეყნო საქმისათვის მივედი და ამ დროს გარეშეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ყველაფერს თავისი დრო აქვს. ადამიანი ტაქტიანი უნდა იყოს: საქმის დროს საქმე, პროტესტის დროს—პროტესტი.

ალბად ამ ტაქტიანობის ბრალია რომ ჩვენმა ზურაბმა „უწყინარად და უჩივარად“ განვლო დღენი მისი ცხოვრებისა. ერთი უკმაყოფილება რაა უფროსებისაგან მას არ შეხვედრია, ერთი რაა მისი პიროვნება არ შელახულა!.. დადის ამაყად და ამაყადვე დააქვს საკუთარი პიროვნება—ამაყი საწყაული ყოველგვარი სიკეთისა.

ყველამ იცის, რომ ჩვენს ზურაბს საპროტესტო ძალაც შესწევს, ავისა და კარგის გაგებაც აქვს, შავისა და თეთრის გამორჩევის უნარი აქვს; დიახ, ყველამ იცის, რომ ზურაბი ყველა თავისი უფროსების ცოდნასა და ჭკუას გროშათაც კი არ იყიდის, ყველამ იცის, რომ „თუ ეს წყეული პირობები არა, ჩვენი ზურაბი ყველა უფროსებზე უფროსი იქნებოდა“... ისიც ყველამ იცის, რომ ცხოვრების დაცინვაა, როდესაც ასეთ დიდ კაცს ასეთი პატარა თანამდებობა აქვს და ასეთი გამოუყენებელი უფროსები ყავს... მაგრამ.. მაგრამ... ამავე დროს ყველას სწამს, რომ როცა იქნება ჭეშმარიტება თავისას გაიტანს და ზურაბიც სათანადოდ დაფასდება,.. დრონი მეფობენ და არა მეფენი!

მეგობრები ელოდებიან ჩვენი ზურაბის დაფასების დროს და თითონ ზურაბიც დინჯად მოელის ამ მომენტს. მრავალგვარი ცვლილება უნახავს ზურაბს თავის გარშემო; ბევრი ადამიანი უხილავს სხვა-და-სხვა საკარიერო კიბეზე აცოცებული და ბევრიც უკან წამოსული,—უნახავს ნელინელ თავდაღმა დაქანებულიცა და მწიფე მსხალივით ხის შერხევის დროს სისწრაფით ჩამოცვენილნიც. თუ არა მწიფე მსხლებივით ძირს ცვენა, მაშ რა უნდა ვუწოდოთ სხვა და სხვა მთავრობების დამხობის დროს თავდაყირა წამოსულ სავარძლებს?..

მაგრამ ჩვენი ზურაბი არასოდეს არც ზევით აცოცების პროცესში ჩაბმულა და არც არასოდეს მწიფე მსხალივით წამოსულა ძირს. მას აქვს ერთხელ არჩეული თანამდებობა და დღემდის პირნათლად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, უფროსების ხელით წინ წაწევა და სხვების დასანახავად წამოჭრა მას არ სწამებია და არც სწამს. მას ყოველთვის სწამდა იმ საქმის სიდიადე, რომელსაც ის ემსახურებოდა და მისი ჯილდოც ეს რწმენა იყო. სამსახურში მუდამ პირნათელი არის. დროზე გამოდის, ასრულებს ყოველგვარ დავალებებს, თუმც გულის სიღრმეში არც ერთი არ მოსწონს: იცის წესრიგი, თავაზიანობა, აქვს შესანიშნავი ტაქტი, ღრმად იცის, რომ ზოგან თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგან თქმითაც დაშავდების... ამიტომ არის, რომ ყველა უფროსი მას პატივისცემით ეპყრობა, ანგარიშს უწევს და არც შეურაცყოფას აყენებს.

პირნათელია ჩვენი ზურაბი და გასხივოსნებულის პირითაც მოელის უკეთეს მერმისს, როცა მას შეძლება მიეცემა ცხადყოს ყველას დასანახავად თავისი რთული პიროვნება... მანამდე კი თავის პირადი ცხოვრების წინაშეც პირნათლად დგას ზურაბი: ცოლშვილს მშვენივრად ინახავს, არც ერთ ზაფხულში აგარაკი არ დაუკლია, მშვენივრად იცვამს და იხურავს მთელის ოჯახობით, საუცხოო ეზო-გარემო და სახლკარი შეიძინა. სახლი აქვს ხუროთ-მოძღვრების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებული, შავი დღისთვისაც ცოტა რაღაც მოეპოვება. ამ უკანასკნელის ზრდა ჯერ კიდევ არ დასრულებულა და იმედია კიდევ კარგა ხანს იზრდება. სტუდენტობის დროს ერთიანად ამოწურული მამის ქონება, მან შესამჩნევად შეარგვალა.

მერე რომ იცოდეთ რა სახლკარი აიგო ჩვენმა ზურაბმა! კლასიკური უბრალოება, თლილი ქვა, სვეტები, თაღები, კლასიკური ოთახები, მებელი! რა სურათები, რა ქანდაკებანი! რამდენი წიგნი, რამდენი ჟურნალი! სურათთა გალერეია, ბიბლიოთეკა, მუზეუმი—უწოდეთ რაც გინდათ მისს სახლსა და კარს!

ზის ჩვენი ზურაბი მომხიბლავ სავარძელში და თავის მჭევრმეტყველურის ენით, ხან რომ ხელოვნებაზე და მეცნიერებაზე მსჯელობს, ხანაც როიალს აკვნესებს და ხანაც პოლიტიკურ საკითხებზე კამათით თავბრუ ეხვევა. ის ეხლაც დაუცხრომელი სულის მატარებელია. ყველას აკრიტიკებს, ყველას ებრძვის, ყველას ეომება... მასთან როგორის ჭკუით, როგორის ტაქტით! არასოდეს არ გაშორდება გონიერებისა და ზომიერების ფარგლებს.

მერე „რა სასიამოვნოა საკუთარ ჭერქვეშ საკუთარი პირადობის ასეთნაირი ცხადყოფა“—დავასრულებთ ჩვენი ზურაბის სიტყვებით.

ვ. მალაქიაშვილი.

გამგეობა მოთავსებულია ხელოვანთა სასახლეში, სერგიევის ქ. № 13.

გამგეობა უკვე შეუდგა მუშაობას თავის დასახული მიზნების განსახორციელებლათ. მისი თაოსნობით ხელოვანთა სასახლეში ეწყობა ყოველ კვირეული სამხატვრო საღამოები.

გამგეობა შეუდგა უკვე მუშაობას ქართველ მხატვართა და ყველა პლასტიურ მოღვაწეთა ენციკლობედიის შედგენას. გამგეობას აზრათ აქვს გამოცეს პერიოდული სამხატვრო ჟურნალი. და აგრეთვე არის სამზადისი საგაზაფხულო სურათების გამოფენისათვის.

მართალია ჯერჯერობით ჩვენ ძალიან ხელს გვაშლის ნივთიერი სიღარიბე, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს გამოფხიზლებული ქართველი ხალხის, რომ არ გამოიჩენს სიძუნწეს და დაეხმარება ქართველ მხატვრობის და ქართული კულტურის აღორძინებას. ჩვენ მივმართავთ ქართველ საზოგადოებას გაგვიწიოს დახმარება რითაც კი შეუძლია. ჩვენთვის საჭიროა როგორც ფული, აგრეთვე ყოველგვარი ისტორიული და ტიპიური ტანსაცმელები, იარაღები და ოჯახის მოწყობილობანი, ყოველგვარი ლიტერატურა პლასტიურ ხელოვნებაზე და მხატრული განძეულობა.

აქ საქართველოს ცენტრში, ტფილისში არის მხატვართა საკმაო ძალები: არის სამხატვრო აკადემია, არის სამხატვრო სტუდია, სადაც შეუძლია ახალგაზდა მხატვრებს მაცადინეობა, მაგრამ ამ ბედნიერებას ჯერჯერობით მოკლებულია საქართველოს დანარჩენი ქალაქები და პროვინციები. და ჩვენი ქართველ მხატვართა საზოგადოვების გამგეობა მოგიწოდებთ ყველგან საქართველოს ყოველ კუთხეში, სადაც რამდენიც უნდა იყვეთ მხატვრები და მხატვრობის მოყვარენი შეაკავშიროთ ადგილობრივი ძალები, გამართოდ წრეები, როგორც პრაქტიკულათ, აგრეთვე თეორიულათ სამაცადინო და შესაძლებლობის და გვარათ დაუკავშირდეთ ტფილისის სამხატვრო ლაბორატორიას.

ამასთანავე ამ თავიდანვე შეუდექით საგაზაფხულო გამოფენისათვის მუშაობას. ეს გამოფენა პირველათ გაიმართება ტფილისში, შემდეგ საქართველოს დანარჩენ ქალაქებში და დაბებში.

ქართველ მხატვართა საზოგადოების გამგეობა მოგმართავთ გვაცნობოთ: დღემდე გქონდათ მხატვართა რაიმე ორგანიზაცია თუ არა, ან რამდენი წვვრი გყავთ.

თუ არა გქონიათ, შეადგინეთ დაუყონებლივ ზემო დასახელებულ პრინციპებზე. მოითხოვეთ ჩვენგან სახელმძღვანელოთ ჩვენი წესდება. ყველა ქართველ მხატვართა კავშირები თავის მოქმედებაში იყავით ავტონომიური, მხოლოთ იქონიეთ მუდმივი დამოკიდებულება ჩვენთან.

**ქართველ მხატვართა საზოგადოების გამგეობა.**

თფილისი, ხელოვანთა სასახლე იანვრის 8.

# ქრონიკა

### უნივერსიტეტის დღე.

იანვრის 26 უნივერსიტეტის დღეა. ამ დღისთვის ჩვენ გაზეთში მოთავსებული იქნება წერილები.

### ქუთაისის დრამატიული დასი

ქალაქ ქუთაისში უკვე შესდგა დასი. მთავარ ხელმძღვანელად მოწვეულია მსახიობი იუზა ზარდალიშვილი. სხვათა შორის ტფილისიდან მიემგზავრებიან: ცაცა ამირაჯიბი ბ. რონელი, არეთა ლოლუა, ნ. მაჭავარიანი და პ. ფრანგიშვილი სეზონი გაიხსნება იანვრის 25.

### განათლების განყოფილებათა წარმომადგენლების ყრილობა

ამა წლის იანვრის 9 დანიშნული განათლების განყოფილებათა წარმომადგენელთა ყრილობა გადაიდო თებერვლის 19.

### შალვა დადიანის იუბილე

3 თებერვალს, რუსთაველის თეატრში განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელოვნო კომიტეტის თაოსნობით გაიმართება შალვა დადიანის იუბილე, მისი სამწერლო და სასცენო ასპარეზზე 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ. იუბილეს დღეს წარმოდგენილი იქნება მისივე პიესები „გვგვეჭკორი“— პირველი მოქმედება და „გუშინდელნი“— ორი პირველი მოქმედება. „გუშინდელს“ დასდგამს მ. ქორელი, „გეგეჭკორს“—კ. მარჯანიშვილი.

**მზის დაბნელება** მეოთხედ. იანვრის 16 რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება მეოთხეთ ანტონოვის ორიგინალური კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“ კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით.

### სტუდიელების საღამო.

იანვრის 19-ს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში ქართული დრამის სტუდიელები, თავიანთი ფონდის გასაძლიერებლად ჰმართავენ დიდ საღამოს.

### სალომე და როდამ.

იანვრის 30-სთვის მზადდება უალდის „სალომე“ და შანშიაშვილის „როდამ.“

### კონცერტი საქველმოქმედო მიზნით.

კვირას, იანვრის 14-ს, 1 კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება საინტერესო კონცერტი ახალგაზრდა ძალების მონაწილეობით.

### ჭიათურის თეატრი.

ჭიათურის თეატრში იმართება სისტემატიური წარმოდგენები. დასში ირიცხებიან: ო. ლოლობერიძე, დ. მარგველაშვილი, ა. ყალაბეგიშვილი, ა. მურუსაძე და შ. ხონელი, რეჟისსორი ვანო ბარველი.

### ჟურნალი ილიონი.

რედაქციამ მიიღო „ილიონის“ მესამე ნომერი.

### ხელოვანთა სასახლე.

ხელოვანთა სასახლეში დაიწყო მუშაობა საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოსთა კავშირმა, რომლის წესდებაც დამტკიცებულ იქნა განათლების კომისარიატის მიერ. ხელოვანთა კომიტეტმა მუსიკოსთა კავშირს დაუთმო ერთი ოთახი გამგეობისათვის და დარბაზი, რომელშიაც თავისუფალ დღეებში მუსიკოსები მეცადინეობენ საღამოობით.

### მხატვართა საღამო.

სამშაბათს, იანვრის 16-ს, გაიმართება ხელოვანთა სასახლეში ქართველ მხატვართა საბჭოს მეხუთე მხატვრული სეანსი. ი. Ნიკოლაძე წაიკითხავს მოხსენებას როდენზე (გაგრძელება).

### ქართველ მხატვართა მასკარადი.

ახლო მომავალში ხელ. სასახ. ქართველ მხატვართა თაოსნობით გაიმართება დიდი მხატვრული მასკარადი. მასკების შეძენა შეიძლება იქვე.

### უცხოეთის ლიტერატურა.

იანვრის 7-ს შესდგა სათარგმნელი კომისიები პროფ. გ. ახვლედიანის ინიციატივით. განზრახულია სახალხო განათლების კომისარიატის დახმარებით გამოიცეს საშუალო სასწავლებლებისთვის სახმარებლად ქრესტომატიები: 1) აღმოსავლეთის ლიტერატურა: ინდური, ასურული, სპარსული—პროფ. გიორგი ახვლედიანი, ს. გორგაძე. 2) ბერძნული ლიტერატურა—პეტრე ქავთარაძე, მგელაძე. 3) რომაული, იგინივე. 4) იტალიანური: კ. გამსახურდია, ელისაბედ ორბელიანი, არტურ ლეისტი. 5) ინგლისური: ირაკლი ტატიშვილი, არისტო ჭუმბაძე. 6) გერმანული: კ. გამსახურდია, ბეშკენაძე, პროფ. დ. უზნაძე. 7) ფრანგული: ელ. ორბელიანი, პ. მირიანაშვილი, ი. ტატიშვილი, ა. ჭუმბაძე.

### ქართული თეატრი

ქართული თეატრის 73 წლის არსებობის დღესასწაულისათვის ტფილისის ალმასკომმა გადასდო ორმოცდაათი მილიონი მანეთი.

## უცხოეთი

### პედოლოგიის სპეციალისტთა ყრილობა

7 ივნისს ფსიხო ნერვოლოგიური აკადემია პეტროგრადში იწვევს პედოლოგიის სპეციალისტთა სრულიად რუსეთის პირველ ყრილობას.

### ეთნოგრაფიული რუქა

სამეცნიერო აკადემია ამზადებს გამოსაცემად ევროპის რუსეთის აპალ ეთნოგრაფიულ რუქას, მასშტაბით 20 ვერსი დიუმი.

### ბოტანიკური ექსპედიცია

სამეცნიერო აკადემია გეოგრაფიულ საზოგადოებასთან ერთად აწყობს დიდ ბოტანიკურ ექსპედიციას ურალზე და დასავლეთ ციმბირში.

**სარედაქციო კოლეგია**


ამიერ-კავკასიის

რკინის-გზის სამმართველო

აცხადებს

ყველას საყურადღებოთ,

რომ შრომისა და თავდაცვის საბჭოს 31 მაისის და საკავშირო საბჭოს 14 სექტებრის

დადგენილების თანახმად შედგენილი

სამმართველო შეუდგა მუშაობას

ყველა კომერციულ და სამეურნეო საკითხების გამო საჭიროა მიმართონ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს, რომლის მისამართია: თბილისი, ვაგზლის ქ. № 1.

ტელეფონებ:

თავმჯდომარე 5—40 თავმჯდომარის მოადგილე და გამგეობის წევრთა—8—70, საერთო—4—68.



შავი-ზღვის მრეწველთა

საბჭო

ჭიათურის საავადმყოფოსათვის

იწვევს დოსტაქარს

კანდიდატს საერთო ქირურგიის გარდა უნდა ქონდეს ცოდნა აკუშორობისა და გინეკოლოგიისა. სასურველია აგრეთვე ყელისა და ყურის ავათმყოფობის ცოდნაც. ქართული ენის ცოდნა აუცილებელია. ჯამაგირი თვეში 18 გირვანქა სტერლინგი, ბინა, გათბობა და განათება. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს განცხადება და curriculuw vitae 15 იანვრამდე მრეწველთა საბჭოში ტფილისის ტროცკში ქუჩა 20 № (ყოფილ პეტრე დიდის ქუჩა).



ამიერ-კავკასიის რკინის გზათა

სამმართველოს ჯანმრთელობის განყოფილების

განცხადება

ამა წლის 16 იანვარს, დილის 10½ საათზე ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოს შენობაში (ანდრევის ქ. № 101)

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოს და სად ტფილისის პროდუქტების დამზადებელ პუნქტისათვის 1923 წლის 1 აპრილამდე შემდეგი პროდუქტების მისაწოდებლად:

**ა) ხორცი და ქონი, ბ) კომბოსტო, კარტოფილი, ჭარხალი, ხახვი, პამიდორი, ლობიო, ბრინჯი, ბურღული (Манная крупа), კართოფილის ფქვილი, ვერმიშელი, ერბო, ტომატი, ბადრიჯანი, მწვანილეულობა და სხვ.**

საჯარო ვაჭრობა მოხდება ფასე ის გა ცხადების საშუალებით დახურ ლი კ ნვერტებში და იმ პირ ა დაშვებით, რომელთაც სიტყვიერათ სურთ მიიღონ მონაწილ ობა ვაჭრობაში, ხოლო ის პირნი რომელთაც წარმოადგინეს განცხადება დახურულ კონვერტებში უფლება აღარ ექნებათ სიტყვიერ ვაჭრობაში მონაწილეობის მ. ღებისა.

ის პირნი, ვისაც სიტყვიერ ვაჭრობაში სურთ მონაწილეობის მიღება, საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე ადგენენ განცხადებას სიტყვიერ ვაჭრობაში დაშვების შესახებ დაწესებულ გირაოს ან ისეთი მოწმობის დართვით რომელიც ამოწმებს გირაოს შეტანას.

გირაო უნდა იქნეს წარმოდგენილი საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე იჯარის ღირებულების 10%-ს რაოდენობით დღის კურსის მიხედვით.

საქონლის დამზადება შეიძლება აღებულ იქნას ან მთლიანად ან ნაწილობრივ, როგორც განცხადებაშია აღნიშნული.

ფასები განცხადებაში ნაჩვენები უნდა იყოს ო როს ფულათ კონდიციების და ცნობების მიღება ვაჭრობის შესახებ, შეიძლება ჯანმთელობის განყოფილების სამეურნეო ქვე-განყოფილებაში ყოველ დღე, გარდა კვირა უქმე დღეებისა დღის 12—2 საათამდე.

განცხადების წარმომადგენის უკანასკნელი ვადა თავდება ამა წლის 16 იანვარს დილის 10% საათზე.



გამომცემელი ამხანაგობა „სორაპანი“ ქ. თბილისი

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ თვიური და დღიური კედლის **1923 წ. კალენდარი**

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ

„სორაპნის“ ამხ. აქვს გახსნილი წიგნის სავაჭრო გიორგევის ქუჩაზე № 5 დარაბა № 1113 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. მაღაზიაში იყიდება წვრილათ და ბითუმად როგორც წიგნები აგრეთვე ყოველგვარი კალენდრები, ქართული, რუსული, სომხური. მსურველთ ეგზავნება ფოსტით ზედ დადებული ფასით. მისამართი: გიორგევის ქ. № 5. „სორაპანი“ მიხეილ გაჩეჩილაძეს.

იყიდება აგრეთვე „რუსკოე სლოვო“


მე-5 სტამბა ს. მ. უ. ს. პოლეგრაფგანყოფილების ლენინის ქ. 3.